საქართველოს სახალხო დამცველის
სპეციალური ანგარიში

2019-2020 წლებში ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე

თბილისი 2021 წელი

სარჩევი

შესავალი 3

1. ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვა და მისი გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე 4

ოკუპირებული აფხაზეთი 4

ოკუპირებული ახალგორი 9

2. COVID-19-თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 11

COVID-19-თან დაკავშირებული მდგომარეობა ოკუპირებულ აფხაზეთში 11

COVID-19-თან დაკავშირებული მდგომარეობა ოკუპირებულ ცხინვალში 13

3. დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხები 15

დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხები ოკუპირებულ აფხაზეთში 15

დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხები ოკუპირებულ ახალგორში 17

4. უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობის საკითხები 18

5. საერთაშორისო სტანდარტები და პასუხისმგებლობა თავისუფალი გადაადგილების უფლებასთან მიმართებით 22

დასკვნა 24

რეკომენდაციები 26

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე, სპეციალური ანგარიში 2019-2020 წლებში, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას და ამ შეზღუდვით გამოწვეულ მთელ რიგ პრობლემებს ეხება. ანგარიში ასევე მიმოიხილავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე COVID-19-თან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობას და ამ მიმართულებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დე ფაქტო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში გატარებულ ღონისძიებებს. ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია ადგილზე მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ხელოვნური იზოლაციის პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქვეყანაში აქტიური შეიარაღებული მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, კონფლიქტურ ზონაში მცხოვრები, როგორც ქართველი, ისე ოსი და აფხაზი მოსახლეობა დღემდე მწვავედ განიცდის ომის დამანგრეველ შედეგებს. მათ მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეები და დე ფაქტო ორგანოებისა და რუსეთის სასაზღვრო ძალების მიერ ე.წ. გამშვები პუნქტების არაპროგნოზირებადი ჩაკეტვა, დადგენილი ფორმალური რეჟიმი და სხვადასხვა ბარიერის დაწესება. გადაადგილების თავისუფლება, განსაკუთრებით, პანდემიის პირობებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ უფლების რეალიზებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სოციალურ-ეკონომიკური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა. მაგალითად, ადგილობრივ მკვიდრთა აუცილებელ საარსებო წყაროებზე, მაღალკვალიფიციური და სრულფასოვანი ჯანდაცვის სერვისებზე, საკვებ პროდუქტებზე, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა და ოჯახური კავშირების შენარჩუნება.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ოკუპირებული ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე არსებული მძიმე უფლებრივი მდგომარეობა და ჰუმანიტარული კრიზისი. 2019 წლის 4 სექტემბრიდან, გამშვები პუნქტის თვითნებური ჩაკეტვის შედეგად, არასათანადო სამედიცინო დახმარების გამო, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა გარდაცვალების ფაქტებმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა იქ არსებული სავალალო მდგომარეობა. გადაადგილების თავისუფლების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, სახალხო დამცველი 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობს.[1]

არსებული მდგომარეობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სამშვიდობო პოლიტიკასა და კონფლიქტის ტრანსფორმაციას ალტერნატივა არ გააჩნია. ადამიანის უფლებების ჯეროვანი დაცვა კი კონფლიქტებისა და ძალადობის პრევენციის საუკეთესო მექანიზმია, რადგან უფლებების უგულებელყოფა ზრდის რადიკალურ განწყობებს, რაც დაძაბულობის ესკალაციისა და დესტაბილიზაციის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს.

[1] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 396. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3oNPewN

1. ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვა და მისი გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე

ოკუპირებული აფხაზეთი

ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, საოკუპაციო ხაზის სიგრძე დაახლოებით 145 კმ-ია, ხოლო, ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით, 350 კმ-ზე მეტს შეადგენს.[2]

2013 წლამდე, ოკუპირებული აფხაზეთიდან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახვედრად, დე ფაქტო აფხაზეთის ადმინისტრაცია ფორმალურად მხოლოდ ენგურის ხიდს ცნობდა. მოგვიანებით, 2013 წელს, დამატებით 4 გადასასვლელი პუნქტი გაიხსნა.[3] ეს ნაბიჯი აღქმული იყო, როგორც აფხაზური მხარის კეთილი ნება, მიმართული აფხაზეთის ტერიტორიაზე და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებისკენ.[4] შესაბამისად, 2013 წლის შემდეგ ოკუპირებულ აფხაზეთსა და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიას 5 გადასასვლელი პუნქტი აკავშირებდა. ამ პუნქტებით წლების განმავლობაში ინტენსიურად სარგებლობდა გალის რაიონის მოსახლეობა, მათ შორის, მოსწავლეები და პაციენტები.[5] გამშვები პუნქტების გახსნამ ხელი შეუწყო ადგილზე ვითარების განმუხტვას და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოგვიანებით, 2016-2017 წლებში, აფხაზური მხარის გადაწყვეტილებით, 2013 წელს გახნილი ე.წ. გამშვები პუნქტები (შამგონა-თაგილონის, ხურჩა-ნაბაკევის, ორსანტია-ოტობაიას, წყოუში-საბერიოს გადასასვლელები) გაუქმდა, რის შედეგადაც, აფხაზეთში და განსაკუთრებით გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.[6] გალის რაიონის ზოგიერთი სოფლის მკვიდრს მგზავრობის მანძილი 20-25 კილომეტრით დაუგრძელა და მიმოსვლა უფრო შეზღუდული და რთული გახადა.
გადასასვლელების გაუქმებას იმ დროისათვის საერთაშორისო საზოგადოებაც გამოეხმაურა და საოკუპაციო რეჟიმის გადაწყვეტილება, ადგილობრივი მოსახლეობის იზოლაციაში მოქცევად შეაფასა.[7] ეს გადაწყვეტილება გალის რაიონის მოსახლეობამაც გააპროტესტა, თუმცა გადაწყვეტილება არ შეცვლილა.[8] გარდა მგზავრობის მანძილის გაზრდისა, 2013 წელს

---

[2] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის წერილი №SSG 6 20 00131318.

[3] შამგონა-თაგილონის, ხურჩა-ნაბაკევის, ორსანტია-ოტობაიას, წყოუში-საბერიოს გადასასვლელები.

[4] „გამშვები პუნქტების“ დახურვამ, შესაძლოა, ვითარების დაძაბვა გამოიწვიოს, 2014 წლის 3 ოქტომბერი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3qMGecY

[5] „გამშვები პუნქტების“ დახურვამ, შესაძლოა, ვითარების დაძაბვა გამოიწვიოს, 2014 წლის 3 ოქტომბერი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3qMGecY

[6] გალის რაიონი ერთადერთი ტერიტორიაა, სადაც ეთნიკურად ქართველები 1992-93 წლების აფხაზეთის ომის შემდეგ დაბრუნდნენ.

[7] ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადება, IPRM-ის შეხვედრის შემდეგ, 2017 წლის 25 იანვარი; https://www.eumm.eu/ge/press_and_public_information/press_releases/5728/?year=2017&month=1
NATO-ს განცხადება ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის თაობაზე; https://agenda.ge/en/news/2017/381
გაეროს მუდმივი კოორდინატორის განცხადება shorturl.at/bIW56; ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის განცხადება shorturl.at/akzF0.

[8] „გალის მაცხოვრებლებმა გამშვები პუნქტების დაგეგმილი დახურვა გააპროტესტეს“, 2017 წლის 27 იანვარი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://old.civil.ge/eng/article.php?id=29810

გახსნილი შამგონა-თაგილონის, ხურჩა-ნაბაკევის, ორსანტია-ოტობაიას, წყოუში-საბერიოს გადასასვლელების გაუქმებამ, უარყოფითი გავლენა მოახდინა გალის რაიონის მოსახლეობის ცხოვრების თითოეულ ასპექტზე, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობაზე, ოჯახურ ურთიერთობებსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე.

დღეისათვის, ფიზიკურად დარჩენილია ენგურის ხიდის და საბერიო-ფახულანის ე.წ. გამშვები პუნქტები.

რაც შეეხება საბერიო-ფახულანის გამშვებ პუნქტს, ამ პუნქტით ძირითადად ენგურის ჰიდროელექტროსადგურის თანამშრომლები სარგებლობენ. ენგურის ხიდზე არსებული ე.წ. გამშვები პუნქტის მოსარგებლეთა უმრავლესობა კი, გალში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები არიან. თუმცა ამ გადასასვლელით სარგებლობა აფხაზეთის სხვა რაიონების მოსახლეობასაც შეუძლია, თუ აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროებისგან შესაბამის „ნებართვას“ მიიღებს. ზემოაღნიშნული გადასასვლელით, ასევე სარგებლობენ ეთნიკურად აფხაზი პაციენტები, რომლებსაც სურთ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამედიცინო სერვისის მიღება. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან ოკუპირებულ აფხაზეთში გადასვლა შესაძლებელია ე.წ. „ვიზით“, რომელსაც აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო გასცემს.[9]

[9] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე: http://mfaapsny.org/ru/consular-service/permission/

ე.წ. „სავიზო რეჟიმი“ 2016 წლის 1 აპრილიდან დე ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაადგილებისთვის დაწესდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე უვიზოდ შესვლა მხოლოდ იმ ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ, რომლებმაც აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობა“ აღიარეს.[10] ასევე, უვიზო რეჟიმით სარგებლობა შეუძლია ყველა ტურისტს (გარდა საქართველოს მოქალაქისა), რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ 24 საათი ჩერდება.[11]

დე ფაქტო აფხაზეთის მიერ შემოღებულ ზემოაღნიშნულ რეგულაციებს და ეგრეთ წოდებულ კანონებს, შესაძლოა, პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგი არ ჰქონდეს, თუმცა მძიმეა ამ რეგულაციებით გამოწვეული ჰუმანიტარული შედეგები. მაგალითად, იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ჰუმანიტარულ ან ადამიანის უფლებებზე მიმართულ პროექტებს ახორციელებენ, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვები, ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნის საქმიანობის განხორციელების დროს და ნათლად წარმოაჩენს საოკუპაციო რეჟიმის მიზანს, კიდევ უფრო გაამყაროს ამ რეგიონების იზოლაცია და შეზღუდოს ადგილზე საერთაშორისო ორგანიზაციების დაშვება.

როგორც უკვე აღინიშნა, უკანასკნელი წლების განმავლობაში ხშირად იკეტებოდა ე.წ. გამშვები პუნქტები. 2019 და 2020 წლის განმავლობაში, ენგურის ხიდზე სხვადასხვა მიზეზით რამდენიმეჯერ შეიზღუდა გადაადგილება. 2019 წლის დასაწყისში, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე H1N1 გრიპის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით, ენგურის ხიდზე არსებული ე.წ. გამშვები პუნქტი ჩაიკეტა. გამონაკლისი დაწესდა მხოლოდ პაციენტებზე, რომელთაც ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულების ცნობა ჰქონდათ სამედიცინო საჭიროებასთან დაკავშირებით. მოგვიანებით, ივნისშიც, დე ფაქტო მთავრობის მიერ ხელოვნურად შექმნილი შეზღუდვების გამო, სრულად ჩაიკეტა ენგურის ხიდი, რამაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აბიტურიენტები დააზარალა. მათ, ვისაც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სურდა უმაღლესი განათლების მიღება, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა ვერ მიიღეს. მოგვიანებით, ენგურის ხიდზე გადაადგილება აღდგა, თუმცა გარკვეული შეზღუდვები დაწესდა. მამაკაცების გადაადგილება დაშვებული იყო მხოლოდ 14 წლამდე და 60 წელს ზემოთ, დანარჩენი ასაკის მამაკაცებისთვის გადაადგილება სრულად აიკრძალა. შეზღუდვა არ ვრცელდებოდა ქალებზე. სახალხო დამცველისთვის, კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაციის თანახმად, 5000 რუსული რუბლის, ქრთამის გადახდის შემთხვევაში, რაც დაახლოებით 225 ლარს შეადგენს, ყველას შეეძლო ე.წ. საზღვრის გადაკვეთა, მიუხედავად შეზღუდვებისა.

მოგვიანებით, 2019 წლის ივნისში, ენგურის ხიდი 6 თვით კვლავ ჩაიკეტა. ამჯერად, დე ფაქტო ხელისუფლებამ, ჩაკეტვის მიზეზად საქართველოში მიმდინარე პროვოკაციული ხასიათის

[10]ინფორმაცია ხელმისაწვდომია ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე: http://mfaapsny.org/ru/consular-service/visa-free/

[11] იქვე.

აქციები დაასახელა.[12] 2019 წლის ნოემბერში, ე.წ. გამშვები პუნქტი მოულოდნელად ისევ ჩაიკეტა სოხუმში მომხდარი მკვლელობის გამო.[13]

შემდეგი ჩაკეტვა, 2020 წლის 14 მარტს, საქართველოში კორონავირუსის შემთხვევების ზრდას დაუკავშირდა. 2020 წელს COVID-19-ით ინფიცირებული პირველი პაციენტი ოკუპირებულ აფხაზეთში 30 მარტს გამოვლინდა.[14] დე ფაქტო ხელისუფლებამ, კორონავირუსის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით, მკაცრად შემზღუდავი ნორმები აამოქმედა.[15] აფხაზეთში შესვლა და აფხაზეთიდან გასვლა აეკრძალა ყველას, ენგურჰესის თანამშრომლების გარდა. მოგვიანებით, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ პოზიცია შეცვალა და ე.წ. საზღვარი რამდენიმე დღით, ცალმხრივად სამჯერ გახსნა,[16] რაც ოკუპირებულ რეგიონში მხოლოდ დაბრუნების შესაძლებლობას გულისხმობდა.

2020 წლის ნოემბრის ბოლოსთვის, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ, 8-თვიანი ჩაკეტვის შემდეგ, ენგურის ე.წ. გამშვები პუნქტი მხოლოდ პენსიონერებისთვის გახსნა, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. კერძოდ, კვირაში სამჯერ, პენსიონერებს მხოლოდ ენგურის ხიდის ბოლომდე შეუძლიათ გადმოსვლა, სადაც მათ პენსიის გამცემი ბანკის ავტომობილი ელოდებათ.[17]

თითქმის ერთწლიანი გადაადგილების თავისუფლების სრული შეზღუდვის შემდეგ, 2021 წლის 12 თებერვლიდან აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიას[18] (მრავალშვილიან ოჯახებს, სოციალურად დაუცველებს, შშმ პირებს) ენგურის ხიდზე არსებული ე.წ. გამშვები პუნქტის გავლით ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის საშუალება მიეცა. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩვენი გალელი თანამოქალაქეებისთვის გარკვეული შეღავათი იყო. თუმცა, ამან არსებითად ვერ შეცვალა უმძიმესი ჰუმანიტარული მდგომარეობა, ვინაიდან გადაადგილების შესაძლებლობა, მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილს შეეხო. ამავდროულად, მოსახლეობას სირთულეებს უქმნის 5 დღიანი სავალდებულო კარანტინის დაცვა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებული ტერიტორიიდან კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსულ მოქალაქეებს დაუწესა.დაწესებული შეზღუდვების გამო, აფხაზეთის მაცხოვრებლები საკუთარი სიცოცხლის ფასად, სხვადასხვა შემოვლით გზას მიმართავენ საქართველოს კონტროლირებად

---

[12] ენგურის ხიდი ჩაიკეტა, 2019 წლის 27 ივნისი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/30024502.html

[13] სოხუმში ორი ე.წ. „კანონიერი ქურდი“ მოკლეს. მძიმედ დაიჭრა მიმტანი გოგონა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3naoG8v

[14] საგანგებო მდგომარეობა და პაციენტის გზა, ოკუპირებული აფხაზეთიდან. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3408xLm

[15] გალელებმა თვითიზოლაციას დე ფაქტო მთავრობის განკარგულებამდე მიმართეს. https://bit.ly/2Kg9mbC

[16] 2020 წლის 26 მაისს, 22 ივნისს და 13 ივლისს, დე ფაქტო ხელისუფლებამ ცალმხრივად გახსნა ე.წ. გამშვები პუნქტი, რაც გულისხმობდა ოკუპირებულ რეგიონში მხოლოდ დაბრუნების შესაძლებლობას. კერძოდ, 2020 წლის 17 ივლისამდე, საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა რამდენიმე ათეულ მოქალაქეს, რომლებიც დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა საჭიროების გამო, მათ შორის, სამკურნალოდ იმყოფებოდნენ. ოკუპირებულ რეგიონში დაბრუნებულებს ორკვირიან თვითიზოლაციაში ყოფნა მოუწიათ.

[17] 8-თვიანი ჩაკეტვის შემდეგ, ენგურის ხიდი პენსიონერებისთვის გაიხსნა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://bit.ly/3m7LcgV

[18] ენგურის ხიდი, გარკვეული კატეგორიის პირებისთვის ორმხრივად გაიხსნა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3shjEsZ

ტერიტორიაზე მოსახვედრად. ამის სამწუხარო მაგალითია, 2021 წლის 7 აპრილს მდინარე ენგურზე მომხდარი ტრაგედია[19], ასევე, 2020 წლის განმავლობაში დაფიქსირებული 2 უბედური[20] შემთხვევა[21] როცა ადამიანები საქართველოს სახელმწიფოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრას მდინარე ენგურის გადაცურვით ცდილობდა. სავალდებულო 5 დღიანი კარანტინის მსხვერპლიაა, ექიმთან ვიზიტისთვის გადმოსული გალელი ექთანიც[22].ენგურის ხიდზე მომხდარ ტრაგედიას, სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა.[23]

გადაადგილების თავისუფლების კუთხით არსებულ გამოწვევებს ადასტურებს ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე რადიკალურად შემცირებული გადაადგილების დღიური სტატისტიკაც. როდესაც ზემოაღნიშნული გადასასვლელი სრულად არის გახსნილი, დღიურად დაახლოებით 1400-1500 ადამიანი სარგებლობს24. ხოლო დღესდღეობით ეს რიცხვი 20-30-მდე შემცირდა[25].

სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებამ, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით უნდა გააძლიეროს ზეწოლა საოკუპაციო ძალებზე ე.წ. გამშვები პუნქტის მთლიანი მოსახლეობისათვის გასახსნელად. ასევე, კიდევ ერთხელ იმსჯელოს 5 დღიანი სავალდებულო კარანტინის ღონისძიებებზე, რაც ოკუპირებული გალის მოსახლეობას გადაადგილებაზე დამატებით ბარიერს შეუმსუბუქებს[26].

ენგურის ხიდზე არსებული ე.წ. გამშვები პუნქტის, რომელიც ერთადერთი დამაკავშირებელი ხიდია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიასთან, ხშირი და არაპროგნოზირებადი ჩაკეტვა, ზღუდავს გალის რაიონის მკვიდრთა გადაადგილების თავისუფლებას და საარსებო წყაროების მისაღებად გაუმართლებელ დაბრკოლებებს წარმოშობს. ენგურის ხიდი მათთვის მხოლოდ ე.წ. გამშვები პუნქტი არ არის. ის გალში მცხოვრები ქართველებისთვის განათლებასთან, უკეთეს, ხარისხიან სამედიცინო სერვისებთან, უფრო იაფი პროდუქტის შესაძენად, პენსიის ასაღებად, ნათესავებთან, ოჯახის სხვა წევრებთან დამაკავშირებელი ხიდია, და მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გამშვები პუნქტის ჩაკეტვა, განსაკუთრებით უარყოფითად აისახება ასაკოვან მოსახლეობაზე, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მარტოა დარჩენილი და ვერ ახერხებს ოჯახის სხვა წევრებთან გადმოსვლას.

---

[19] მდინარე ენგურიდან მაშველებმა 3 ადამიანის ცხედარი ამოიყვანეს, ისინი საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას გალიდან ცდილობდნენ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mLG4AV

[20] ენგურის მიერ გამორიყული გარდაცვლილი, სავარაუდოდ, გალის რაიონის მცხოვრები იყო. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3subGO4

[21] გარდაიცვალა კაცი, რომელმაც ენგური გადმოცურა ზუგდიდში მოსახვედრად, 2020 წლის 22 სექტემბერი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/37QuMo8

[22] ექიმთან ვიზიტისთვის გადმოსული გალელი ექთანი საკარანტინე სივრცეში გარდაიცვალა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:https://bit.ly/3gpADX4

[23] საქართველოს სახალხო დამეცვლის 2021 წლის 7 აპრილის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mKyZ3C

[24] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის წერილი №SSG 6 20 00131318.

[25] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის 26 მარტის წერილი NSSG 9 21 00037784

[26] საქართველოს სახალხო დამეცვლის 2021 წლის 7 აპრილის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mKyZ3C

ოკუპირებული ახალგორი

გადაადგილების თავისუფლების კუთხით, საგანგაშო მდგომარეობაა ოკუპირებული ახალგორის რაიონშიც. 2019 წლის დასაწყისში, იანვარი-მარტის პერიოდში, ოსურმა მხარემ გადაადგილების თავისუფლება გრიპის ვირუსის გავრცელების მოტივით შეზღუდა. თუმცა გამშვები პუნქტის ჩაკეტვის მხრივ, ვითარება 2019 წლის აგვისტოს ბოლოდან განსაკუთრებით დაიძაბა, მას შემდეგ, რაც საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს ხელისუფლებისგან ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან გახსნილი პოლიციის საგუშაგოს გაუქმება მოითხოვა. მოგვიანებით, 2019 წლის 4 სექტემბრიდან, დე ფაქტო ხელისუფლებამ ე.წ. გამშვები პუნქტები სრულად ჩაკეტა.

ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვამ, რომლითაც ყოველდღიურად 400-მდე ადამიანი სარგებლობდა,[27] ახალგორში მცხოვრები, როგორც ეთნიკურად ქართველი, ისე ოსი მოსახლეობისათვის მძიმე ჰუმანიტარული ვითარება შექმნა. ზემოაღნიშნული ხელოვნური შეზღუდვის დაწესების შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა სრულ იზოლაციაში მოექცა. მსგავსად აფხაზეთისა, ე.წ. გამშვები პუნქტი, ოკუპირებულ ახალგორში მცხოვრებლებისათვის გადაადგილების გარდა, სათანადო სამედიცინო დახმარების, საკვების, პენსიის თუ სხვა საარსებო სერვისებით სარგებლობის საშუალებაა. ახალგორში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისზე, სახალხო დამცველი, როგორც საპარლამენტო ანგარიშებში,[28] ისე საჯარო განცხადებებში[29], მუდმივად ამახვილებს ყურადღებას.

რეგიონში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისის თაობაზე და ე.წ. გამშვები პუნქტის გახსნის მოთხოვნით, 2020 წლის 11 თებერვალს, ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარეები რიგგარეშე ვიზიტით იმყოფებოდნენ ცხინვალში,[30] თუმცა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო. თანათავმჯდომარეების ვიზიტის შემდეგ, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ე.წ. საზღვრის გახსნა არ იგეგმება, სანამ საქართველოს ხელისუფლება ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან აგვისტოს ბოლოს განთავსებულ საპოლიციო საგუშაგოს არ გააუქმებს.

მოგვიანებით, დე ფაქტო ხელისუფლებამ, ე.წ. გამშვებ პუნქტთან დაკავშირებით მიდგომა შედარებით შეარბილა და გახსნა ახალგორის რაიონის იმ მცხოვრებთათვის, რომლებსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდებათ, ასევე იმ პენსიონერებისათვის,[31] რომლებიც მხოლოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე იღებენ პენსიას.[32]

---

[27] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის წერილი №SSG 6 20 00131318

[28] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 396. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2LqTgwC

[29] სახალხო დამცველის 2019 წლის 15 ნოემბრის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/342pO6u

[30] ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარეებმა ცხინვალში დააყენეს „საზღვრის გახსნის“ საკითხი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://bit.ly/3qhkO6C

[31] ახალგორელი პენსიონერებისთვის ათი დღით გაიხსნა გზა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/375GnAs

[32] დე ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორთან დაკეტილ ე.წ. საზღვარზე რეჟიმი შეარბილა. https://bit.ly/37QQYOP

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამონაკლისი მოსახლეობის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს შეეხო და ახალგორში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა კვლავ სრულ იზოლაციაში იმყოფება. გალის მოსახლეობის მსგავსად, ე.წ. გამშვები პუნქტის არაპროგნოზირებადი ჩაკეტვა და რეგიონში არსებული უმძიმესი სოციალური მდგომარეობა, ადამიანებს, განსაკუთრებით პენსიონერებს, აიძულებს, დატოვონ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ცხოვრება წეროვანში, დევნილთა ჩასახლებაში, ნათესავებთან გააგრძელონ. შესაბამისად, ახალგორში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წლიდან წლამდე შემცირების რისკი იზრდება.

ამავე დროს, საგულისხმოა, რომ ახალგორის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობას, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, წეროვანის დევნილთა დასახლებაში აქვს საცხოვრებელი სახლები, მცირე მეურნეობა და სამუშაო ადგილები. გამშვები პუნქტის ჩაკეტვის შემდეგ მოსახლეობის ნაწილი ახალგორის რაიონში, მათი ოჯახის წევრები კი, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩნენ. ამ ფაქტმა ორივე მხარეს - როგორც ახალგორის რაიონში, ისე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, კიდევ უფრო მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა.

ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვა და ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის მიერ დაწესებული ხელოვნური ბარიერები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობაზეც ძალიან მძიმედ აისახება. ამის ნათელი მაგალითია, 2019-2020 წლის განმავლობაში, სამედიცინო სერვისებზე არასათანადო ხელმისაწვდომობის გამო, არაერთი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა.[33] სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, წინა წლებში ოკუპირებული ახალგორიდან თბილისში პაციენტის გადმოყვანა ბევრად უფრო მარტივი იყო. კერძოდ, პაციენტების თბილისში გადმოსაყვანად, თავდაპირველად ახალგორის საავადმყოფოს ექიმი იღებდა გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზე, პაციენტის ოჯახი მიმართავდა ახალგორის გამგებელს. ეს უკანასკნელი კი ამზადებდა „წერილს“, რომელიც საკმარისი იყო ე.წ. გამშვებ პუნქტზე რუსი მესაზღვრეებისთვის წარსადგენად. ამჟამინდელი მდგომარეობა კი, გაცილებით რთულია. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე პაციენტის გადმოსაყვანად საჭიროა რამდენიმე ეტაპის გავლა: 1.ოკუპირებული ცხინვალის ექიმების ჯგუფის შეკრება და მათი თანხმობა; 2. ახალგორის ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ექიმების თანხმობა, რომ პაციენტი გადაიყვანონ ცხინვალში; 3. ცხინვალში გადაყვანის შემდეგ, პაციენტის მდგომარეობის შეფასება ცხინვალის ექიმების მიერ; 4. ექიმების ნებართვის მერე, ოჯახს აქვს უფლება, პაციენტის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსაყვანად „საშვის“ მისაღებად მიმართოს დე ფაქტო უწყებებს; 5. ბოლო ეტაპზე ერთვება წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც მოჰყავს ავადმყოფი ერგნეთამდე.[34]

[33] ახალგორის ჩაკეტვიდან 1 წელი გავიდა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2Lt0jVB

[34] სახალხო დამცველისთვის კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, სექტემბერი, 2020.

2. COVID-19-თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ხელოვნური იზოლაციის პირობებში, პანდემიის დროს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლებამ, კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან, სრული მზადყოფნა გამოხატა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების დასახმარებლად. 2020 წლის განმავლობაში, ორივე ოკუპირებული რეგიონიდან, სულ გადმოყვანილია 892 პაციენტი, აქედან 256 კოვიდინფიცირებული - აფხაზეთიდან და 24 - ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან.[35]

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გამოხატული მზაობის მიუხედევად, განსხვავებული აღმოჩნდა დე ფაქტო ხელისუფლებების პოზიცია ამ დახმარების მიღებაზე. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ პანდემიის დაწყებისთანავე თავად გამოავლინა ინტერესი, რომ საქართველოსგან საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, ინფორმაცია (რაც შემდგომში ქართველ და აფხაზ ექიმებს შორის ონლაინ კონსულტაციით გამოიხატა) და მატერიალური დახმარება (სამედიცინო აღჭურვილობა) მიეღო. ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეჟიმი, დღემდე კატეგორიულ უარზეა, საქართველოს კონტროლირებული ტერიტორიიდან მიიღოს დახმარება და ტვირთის რუსეთის ფედერაციის მხრიდან შეტანას მოითხოვს. გარდა ამისა, დე ფაქტო ხელისუფლებამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას უარი განუცხადა სპეციალისტების ცხინვალში შეშვებაზე, თუ ისინი საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან შევიდოდნენ და არა რუსეთის ფედერაციის მხრიდან.[36]

ოკუპირებულ აფხაზეთში, ცხინვალისგან განსხვავებით, შედარებით უკეთესი ვითარებაა. დე ფაქტო ხელისუფლებამ აფხაზეთში დაუშვა, რომ ენგურის ხიდის გავლით შესულიყვნენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადგილზე შეესწავლათ არსებული ჯანდაცვის სისტემა.[37]

COVID-19-თან დაკავშირებული მდგომარეობა ოკუპირებულ აფხაზეთში

როგორც უკვე აღინიშნა, კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა, დახმარებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა ადამიანს. 2020 წლის მარტის დასაწყისიდან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას რამდენიმე მიმართულებით გაეწია დახმარება: ინფორმაციის დროულად მიწოდება, საექსპერტო ცოდნის გაზიარება, სამედიცინო საშუალებების ადგილზე შეტანა და გადმოყვანილი პაციენტების მკურნალობა. ოპერატიულად ითარგმნა და გავრცელდა სათანადო მასალა აფხაზურ და ოსურ ენებზე. ინფექციონისტები საჭიროებისამებრ დისტანციურად გასცემდნენ რჩევებს. აფხაზეთს

[35] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2021 წლის 29 იანვრის №78-1-2-202101291750 წერილი.

[36] დახმარებაზე ცხინვალის უარი საერთაშორისო ორგანიზაციებს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია, რადიო თავისუფლების ვებგვერდზე: https://bit.ly/33YRcCv

[37]დახმარებაზე ცხინვალის უარი საერთაშორისო ორგანიზაციებს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://bit.ly/3qMskr4

სხვადასხვა არხით არაერთხელ გადაეცა კორონავირუსისგან თავის დასაცავად საჭირო სამედიცინო საშუალებები, აღჭურვილობა და ჰიგიენის ნივთები. ეს პროცესი ამ დრომდე გრძელდება.[38] ასევე, საქართველოს სახელმწიფოს მიერ შეძენილი სეზონური გრიპის 235 000 დოზა ვაქცინიდან, 10 000 დოზა ოკუპირებულ აფხაზეთს გადაეცა.[39]

გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა და შესაბამისმა უწყებებმა, ერთობლივად შეიმუშავეს პაციენტების მართვის გეგმა, ხოლო ენგურის ხიდთან გაიხსნა საველე ჰოსპიტალი, სადაც ექიმები განთავსდნენ. ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ თითოეულ პაციენტს უმოწმდებოდა ტემპერატურა და ჩივილების შესაბამისად გადაჰყავდათ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. ინფიცირებული პაციენტების მკურნალობის მიზნით, აღიჭურვა და მუშაობა დაიწყო რუხის საავადმყოფომ, რომელიც აშენდა გრძელვადიანი მიზნებისთვის, რაც, მათ შორის, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის გამარტივებას ემსახურება.[40]

2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ოკუპირებულ აფხაზეთში Covid 19-ის დადასტურებული შემთხვევები 8,920-მდე გაიზარდა, ხოლო გამოჯანმრთელებულია 7 682 ადამიანი, გარდაიცვალა 123. ინფორმაციას ამის შესახებ, აფხაზური საინფორმაციო წყაროები ავრცელებენ.[41] ოკუპირებულ აფხაზეთში Covid 19-ის შემთხვევების ზრდა ორი ძირითადი მიზეზით შეიძლება აიხსნას: 1. 2020 წლის 1 აგვისტოდან აფხაზეთმა რუსეთთან საზღვარი გახსნა ყველანაირი შეზღუდვის გარეშე.[42] შედეგად, ტურისტების ნაკადი, რეგიონში, ფაქტობრივად, უკონტროლოდ შედიოდა; 2. რეგიონში გაუმართავი სამედიცინო ინფრასტრუქტურა, ექიმების დეფიციტი და მათი არასათანადო სამედიცინო კვალიფიკაცია. პანდემიის დაწყებამდე, წლების განმავლობაში, ოკუპირებულ აფხაზეთში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო ჯანდაცვის სისტემის მიმართულებით. ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე, სახალხო დამცველი, წლებია, ყოველწლიურ ანგარიშებში საუბრობს.[43]

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, ყველა არსებული ფორმალური და არაფორმალურ საკომუნიკაციო არხი უნდა გამოიყენოს დე ფაქტო ხელისუფლებასთან შეთანხმების მისაღწევად, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საავადმყოფოებში პაციენტების ორგანიზებული გადმოყვანა, აფხაზეთში სამედიცინო პერსონალისა და შესაბამისი რესურსების გაგზავნა. ასეთი ძალისხმევა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აფხაზეთის დე ფაქტო ჯანდაცვის მინისტრი,

---

[38] საქართველოს მთავრობის ანგარიში COVID-19 ის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3gyOkkM

[39] აფხაზეთს გრიპის ვაქცინის 10 000 დოზა გადაეცა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2W5YYpy

[40] საქართველოს მთავრობის ანგარიში COVID-19 ის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3gyOkkM

[41] დე ფაქტო აფხაზური საინფორმაციო სააგენტო „აფსნიპრესი". ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://apsnypress.info/ru/

[42] რუსეთმა ოკუპირებულ აფხაზეთთან საზღვარი გახსნა, 2020 წლის 1 აგვისტო. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3gDIiiB

[43] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 396. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2LqTgwC
საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 306 https://bit.ly/3ma8EtZ

სამედიცინო პერსონალის დეფიციტის გამო, დახმარებას აფხაზეთის მოხალისეებისგან ითხოვდა.[44]

COVID-19-თან დაკავშირებული მდგომარეობა ოკუპირებულ ცხინვალში

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, COVID-19-ით ინფიცირების 2,409 შემთხვევაა აღნუსხული, 1,647 გამოჯანმრთელდა, გარდაიცვალა 27 ადამიანი.[45] სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ კორონავირუსის გავრცელების აღსაკვეთად, 2020 წლის 27 თებერვალს, დანარჩენ საქართველოსთან ე.წ. საზღვრის ბოლო ღია მონაკვეთიც დაკეტა[46] და დროებითი შეზღუდვები დაუწესა 60-ზე მეტ ქვეყანის მოქალაქეს გარდა, რუსეთისა.[47]

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის გადაწყვეტილებით, გამშვებ პუნქტ „რაზდახანის“ გავლით შეუშვეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები, რომლებიც ე.წ. საზღვრის დაკეტვის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩნენ. ამ ადამიანების შეშვება ახალგორში, დადგენილი წესით, სიების მეშვეობით მოხდა და ისინი 14-დღიან საკარანტინო ზონაში მოათავსეს. კარანტინში ყოფნას დაექვემდებარნენ ის პირებიც, რომლებიც ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის იყვნენ დაკავებულები, ასევე, ის პაციენტებიც, რომლებიც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ცხინვალში შეიყვანა. როგორც ცნობილია, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ცხინვალიდან სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტები საქართველოს კლინიკებში გადმოჰყავს, სადაც მათ უფასოდ მკურნალობენ, გამოჯანმრთელების შემდეგ კი, ცხინვალში აბრუნებენ.

მოგვიანებით, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ უფრო გაამკაცრა შემზღუდველი ღონისძიებები. 2020 წლის 28 მარტიდან რეგიონში აიკრძალა: ტრანსპორტის გადაადგილება, 65 წლის ადამიანებისთვის სავალდებულო გახდა თვითიზოლაცია, დაიხურა ყველა კაფე და რესტორანი. გამკაცრებული შეზღუდვების დაწესების ერთ-ერთი წინაპირობა ოკუპირებულ რეგიონში იმ ცხინვალელი სტუდენტების და კადეტთა დაბრუნება გახდა, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში სწავლობდნენ, სადაც ინფიცირების შემთხვევების გაზრდის გამო, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა შეწყდა.[48] დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით, დაბრუნების შესახებ სტუდენტებს ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე უნდა დაერეკათ და თვითიზოლაციაში დარჩენილიყვნენ, თუმცა მათი აღრიცხვა პრობლემური იყო. ოსური

---

[44] აფხაზეთის დე ფაქტო ჯანდაცვის სამინისტრო მოხალისეთა დახმარებას ითხოვს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:https://bit.ly/3sukenR

45 New Cases Revealed in Tskhinvali, 2020, 16 ოქტომბერი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://civil.ge/archives/342486.

[46] 27 თებერვლამდე, დე ფაქტო ხელისუფლებას გახსნილი ჰქონდა მხოლოდ ქარძმანის ე.წ. გამშვები პუნქტი, რომელიც ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებს საჩხერის მუნიციპალიტეტის გავლით.

[47]Fearing coronavirus de facto Tskhinvali closes “border” with over 60 countries, including Georgia. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://agenda.ge/en/news/2020/651.

[48] 12 more coronavirus infections in Russian-occupied Tskhinvali, total cases increase to 57. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.agenda.ge/en/news/2020/1771.

მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით,[49] დაბრუნებული სტუდენტების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ დე ფაქტო მთავრობის ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე მხოლოდ 26-მა სტუდენტმა დარეკა. შესაბამისად, ვერ გაკონტროლდა, იცავდნენ თუ არა დაბრუნებული სტუდენტები თვითიზოლაციის წესებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ოკუპირებულ ცხინვალში, ისევე როგორც აფხაზეთში, COVID-19-ით ინფიცირებულების მატება, შესაძლებელია რუსეთთან საზღვრის უკონტროლო გახსნით აიხსნას. ასევე რთული ვითარება შეიქმნა ახალგორში, სადაც სულ ორი საავადმყოფოა. ორივე მათგანი საკარანტინე ზონად გადაკეთდა, ხოლო იქ მყოფი სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტები კი სახლში გაწერეს. შესაბამისად, ახალგორის მოსახლეობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ სრული იზოლაციის პირობებში, კოვიდპაციენტებთან ერთად, კრიტიკულად მნიშვნელოვან ჯანდაცვის მომსახურებაზე წვდომა სხვა პაციენტებსაც შეეზღუდათ.[50]

2020 წლის მაისში საქართველოს ხელისუფლებამ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, რომელიც ადგილზე ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარების გაზრდა სთხოვა.[51] 2020 წლის ოქტომბერში ცხინვალის რეგიონში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, მოიმატა ინფიცირებულთა რაოდენობამ და ცხინვალის ინფექციურ საავადმყოფოში თავისუფალი ადგილები ამოიწურა.[52] შედეგად, მედიკამენტების და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობის დეფიციტიც გაჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდიდან ცხინვალიდან პაციენტების გადასაყვანად დე ფაქტო ხელისუფლება წითელ ჯვარს გზას სულ უფრო ხშირად უხსნიდა, განსხვავებით იზოლირებული ახალგორისგან.
მიუხედავად რთული ვითარებისა, ახალგორიდან პაციენტების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაყვანა კვლავ პრობლემებთანაა დაკავშირებული. დე ფაქტო ხელისუფლება, გადაადგილების ნებართვის გაცემას კვლავაც უკანონოდ და დისკრიმინაციულად ზღუდავს. შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებამ, მნიშვნელოვანია, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, გადაადგილების თავისუფლების რეჟიმის გამარტივების მიზნით, ინტენსიურ რეჟიმში განაგრძოს მოლაპარაკებები ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასთან, რათა გამოირიცხოს ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის ეთნიკური ნიშნით შეზღუდვა. ასევე, ოკუპირებული აფხაზეთის მსგავსად, აქაც, სახელმწიფომ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს ქართველ და ოს ექიმებს შორის სამედიცინო გამოცდილების და ეპიდემიის მართვის გზების გასაზიარებლად.

---

49 დე ფაქტო ცხინვალის საინფორმაციო სააგენტო „რეს“. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://cominf.org/en?page=1.

50 ახალგორელი პაციენტები საავადმყოფოს გარეშე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2Lofxv0

51 ცხინვალში გაუმართავი ჯანდაცვის სისტემა და დაუცველობის შეგრძნება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/38JFLkG

52 ცხინვალიდან კოვიდინფიცირებულების თბილისში გადაყვანა დაიწყეს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3765qDi

3. დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

თავისუფალი გადაადგილების კუთხით, გარდა, ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა გამყოფ ხაზზე გადაადგილებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის არსებობა.

აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა, ისევე, როგორც დე ფაქტო ორგანოების მიერ გაცემული პასპორტები არ წარმოადგენს საქართველოს ან საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ სამართლებრივ დოკუმენტს. თუმცა, მათი ფლობა ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ბევრი სხვადასხვა უფლების რეალიზაციას უკავშირდება. დე ფაქტო ხელისუფლებების შესაბამისი სამსახურების მიერ, მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, გალის რაიონში ცხოვრობს 40 000-დან 45 000-მდე ადამიანი, ხოლო ახალგორის რაოიონში - 600-მდე ადამიანი.[53]

დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხები ოკუპირებულ აფხაზეთში

ამ ეტაპზე ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი დოკუმენტებით: 1) ე.წ. ფორმა №9; 2) დე ფაქტო (ახალი) პასპორტი[54]; 3) ე.წ. ბინადრობის მოწმობა; 4) 14 წლამდე პირებისთვის - დაბადების მოწმობა; 5) გადაადგილება ასევე დასაშვებია ქართული პასპორტით იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა (ე. წ. ვიზა).

ე.წ. პასპორტების საკითხი და ამ მიმართულებით დე ფაქტო ხელისუფლების პოლიტიკა, წლების განმავლობაში იცვლებოდა. 2010-2011 წლებში, გალის მოსახლეობის იძულებითი პასპორტიზაცია განხორციელდა. იმ პერიოდისთვის, თუ გალში მცხოვრებ ადამიანს არ ექნებოდა დე ფაქტო პასპორტი, ვერ ისარგებლებდა მთელი რიგი უფლებებით, მათ შორის, მხოლოდ ამ ე.წ. პასპორტის მეშვეობით იყო შესაძლებელი ზუგდიდის მიმართულებით მიმოსვლა. ამასთანავე, აფხაზური პასპორტის მისაღებად პირს უნდა წარედგინა საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, დე ფაქტო აფხაზეთის კანონმდებლობის მიხედვით, აფხაზეთის მოქალაქედ მიიჩნეოდა ყველა ეთნიკურად აფხაზი პირი (აბაზა) თავისი მოქალაქეობის მიუხედავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის „ანტიკონსტიტუციური გზებით იბრძოდა აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ“. ასევე, აფხაზეთის მოქალაქეებად ითვლებოდნენ ის პირებიც, რომლებიც ბოლო 5 წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე 1999 წლამდე.[55] ამასთან, ორმაგი მოქალაქეობა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობასთან ერთად არის დაშვებული.[56]

---

[53] შერიგების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს თითქმის 30 წელია არ აქვს შესაძლებლობა აფხაზეთის შესახებ სტატისტიკა აწარმოოს. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო უწყებები დე ფაქტო ხელისუფლებების სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობიან.

[54] ძველი დე ფაქტო პასპორტები ჩამოერთვათ 2014 წელს.

[55] აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-5 მუხლი; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2W420L1

[56] იხ. იქვე: მე-6 მუხლი.

გამომდინარე იქიდან, რომ გალის რაიონის მოსახლეობა საქართველოს მოქალაქეები არიან, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება მათზე ე.წ. აფხაზურ პასპორტს არ გასცემს, თუ ისინი საქართველოს მოქალაქეობაზე უარს არ განაცხადებენ. აფხაზური მოქალაქეობა არ არის აღიარებული საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ, შესაბამისად, მხოლოდ აფხაზური პასპორტის მქონე პირი, მოქალაქეობის არმქონე პირად ჩაითვლება, ხოლო საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის სანაცვლოდ აფხაზური პასპორტის აღების შეთავაზება, ფაქტობრივად, ამ პირთა აპატრიდებად ქცევას ნიშნავს.

2011 წელს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-მა თავის ანგარიშში განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელისუფლების დამოკიდებულება გალის რაიონის მოსახლეობის მიმართ დისკრიმინაციულია, ვინაიდან მას, ვისაც ეს პასპორტი არ აქვს, ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლის უფლება ეზღუდება. ორგანიზაცია ქართული მოსახლეობისთვის თავისუფალი გადაადგილების უფლებას ითხოვდა.[57]

მოგვიანებით, 2014 წელს, გალის მოსახლეობის პასპორტიზაციის პოლიტიკა შეიცვალა. დე ფაქტო ხელისუფლება „უკანონოდ გაცემული“ აფხაზური პასპორტების ჩამორთმევას შეუდგა. იმ დროისთვის, დე ფაქტო პროკურატურის განცხადებით, გალის, რაიონში 2007-2014 წლამდე 14 988 მცხოვრებზე კანონის დარღვევით გაიცა ე.წ. აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი.[58] გამოძიების დასრულების შემდგომ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გადაწყვიტა ძველი აფხაზური პასპორტები გაეუქმებინა და ახალი მხოლოდ იმ პირზე გაეცა, ვინც უარს იტყოდა საქართველოს მოქალაქეობაზე, ხოლო, გალის რაიონის ის მოსახლეობა, რომელიც უარს არ განაცხადებდა საქართველოს მოქალაქეობაზე, ბინადრობის ნებართვას მიიღებდა.

2017 წლიდან, კი დე ფაქტო ადმინისტრაციამ, კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა, როდესაც ძველი აფხაზური პასპორტები ხმარებიდან ამოიღო, ხოლო ფორმა №9-ის ბინადრობის მოწმობით ჩანაცვლების გადაწყვეტილება მიიღო. 2017 წლის მდგომარეობით, ფორმა №9 დაახლოებით 12 000 პირზე იყო გაცემული.[59]

გალში მცხოვრებთა დიდი ნაწილი ეწინააღმდეგებოდა ბინადრობის მოწმობის აღებას, რომელიც მათ უცხოელის სტატუსს ანიჭებს. ბინადრობის მოწმობას მკაცრი კრიტერიუმები და 5-წლიანი ვადა აქვს, რაც გალელთა მიმართ დამატებით ზეწოლის მექანიზმად შეიძლება იქნას გამოყენებული. ის ასევე არ ანიჭებს ამ დოკუმენტის მქონე პირს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა, ამავე დროს, გალელებისათვის ეს დოკუმენტი საოკუპაციო ხაზზე გადაადგილების საშუალებაა, შესაბამისად, ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებულები არიან, ეს დოკუმენტი აიღონ. ბინადრობის მოწმობის აღება განსაკუთრებით უჭირთ სტუდენტებს, რადგან ადგილობრივი ადმინისტრაცია არ გასცემს მათი რაიონში ცხოვრების დამადასტურებელ ცნობას. სახალხო

[57] Georgians in Gali, Human Rights watch, 2011. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.hrw.org/news/2011/02/18/georgians-gali

[58] Abkhazia to issue residence permits, 20 April 2017. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://oc-media.org/abkhazia-to-start-issuing-residence-permits/

[59] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ, 308. https://bit.ly/2JRi8gx

დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ სახლში დაბრუნება ე.წ. ვიზით უწევთ, რომელიც გრძელვადიანი არ არის და გარკვეული პერიოდით არის „ჩარტყმული“.[60]

გალის რაიონის მოსახლეობაში, ე.წ. „აფხაზური პასპორტის“ და ე.წ. „ბინადრობის მოწმობის“ სრული რაოდენობის შესახებ ინფორმაცია უცნობია, თუმცა, 2019 წელს გალის 13 400-ზე მეტმა მცხოვრებმა გააკეთა განაცხადი ე.წ. „ბინადრობის მოწმობის“ მისაღებად. აქედან, 6 000-მდე განაცხადი დაკმაყოფილდა. რაც შეეხება 2020 წელს, კონკრეტულად გალის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა, მთლიანად ოკუპირებულ აფხაზეთში, 27 230 განაცხადი გაკეთდა და 19 500-ზე მეტი ე.წ ბინადრობის მოწმობა გაიცა.[61] რაც შეეხება დე ფაქტო პასპორტს, 2019 წელს ოკუპირებულ გალში 372 ე.წ. „აფხაზური პასპორტი“ გაიცა, ხოლო 2020 წლის განვლილ თვეებში - 700 ერთეულზე მეტი.[62]

ზემოთ განხილული დოკუმენტაცია, რომელიც გადაადგილებისთვის აუცილებელია, გალში მცხოვრებ ძალიან ბევრ ადამიანს არ აქვს, რაც სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული. მაგალითად, ე.წ. აფხაზური პასპორტის აღება არ სურთ, ვინაიდან, მის მისაღებად საოკუპაციო რეჟიმი მსურველებს გვარის შეცვლას სთავაზობს[63], რაზეც ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ნაწილი არ თანხმდება. ფორმა №9, რომელის ვადაც ყოველთვიურად უნდა გააგრძელდეს და შესაბამისად უნდა იყოს დამოწმებული, ფასიანია. ბინადრობის მოწმობაც ფასიანია და მის მისაღებად ძალიან ბევრი დოკუმენტაცის წარდგენაა საჭირო. გარდა, ამისა, ბინადრობის მოწმობის მიღებაზე, დე ფაქტო ხელისუფლება ძალიან ხშირად სხვადასხვა სახის ხელოვნურ შეზღუდვებს აწესებს.[64]

დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხები ოკუპირებულ ახალგორში

რაც შეეხება ახალგორის რაიონში დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, 2019 წლის 29 მარტიდან რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ე.წ. პასპორტების მეშვეობით გადაადგილება აკრძალა. დე ფაქტო ადმინისტრაციისთვის ახალგორის მცხოვრებლების მიერ ე.წ „პასპორტის“ აღების მიზნით მიმართვიანობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია წლების მიხედვით არ არსებობს. თუმცა, დღეის მდგომარეობით, ახალგორში მცხოვრები 600-მდე მოსახლიდან უმრავლესობას 2019-2020 წლებში დე ფაქტო ადმინისტრაციამ გადასცა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის პასპორტი“.[65]

ე.წ. „გამშვებ პუნქტზე“ გადაადგილებისათვის, აუცილებელია „საშვი“, რომელსაც დე ფაქტო ცხინვალის უშიშროების სამსახური გასცემს. პროცედურის თანახმად, დაინტერესებულმა

---

[60] ქართველები გალში - უცხოელები საკუთარ მიწაზე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/37M7gsg

[61] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2020 წლის 27 ოქტომბრის №1310 წერილი.

[62] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2020 წლის 27 ოქტომბრის №1310 წერილი.

[63] აფხაზური გვარი მეტი უფლებებისთვის. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: shorturl.at/fgirL

[64] ქართველები გალში - უცხოელები საკუთარ მიწაზე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/37M7gsg

[65] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2020 წლის 27 ოქტომბრის №1310 წერილი.

პირმა მიმართვა უნდა გააკეთოს და მასში ამ „დოკუმენტის“ საჭიროება დაადასტუროს. რეალურად ეს ე.წ. „საშვები“ გარკვეული ოდენობის თანხის ქრთამის სახით გადახდის შედეგად გაიცემა, რომელსაც ე.წ. უშიშროების სამსახურის თანამშრომლები ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ითხოვენ.[66]

4. უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობის საკითხები

საოკუპაციო ხაზზე, როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, კვლავ გრძელდება საქართველოს კონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა დაკავებების მანკიერი პრაქტიკა. საოკუპაციო რეჟიმის და დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისთვის რეგულარულად აკავებენ სამოქალაქო პირებს. მსგავსი დაკავებები თვითნებურია და თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებებს არღვევს.

თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.[67] კერძოდ, ეს უფლება პირისთვის თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობას მოიცავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. მოქმედი დე ფაქტო ხელისუფლების უკანონობის პირობებში, ვერც მისი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი იქნება კანონიერი და ევროპული კონვენციის შესაბამისი.

ოფიციალური მონაცემებით, საოკუპაციო ხაზზე 2019 წელს, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 86 პირი დააკავეს,[68] აქედან 9 ქალი და 2 არასრულწლოვანი[69], ხოლო 2020 წლის მონაცემებით[70] - 64 პირი. აქედან, 6 ქალი და ერთი არასრულწლოვანი. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, 2019 წელს, 27 პირი დააკავეს[71], აქედან 2 ქალი და 2 არასრულწლოვანი. ხოლო 2020 წელს - 13. აქედან, 1 ქალი და 2 არასრულწლოვანი.[72]

---

[66] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2020 წლის 27 ოქტომბრის №1310 წერილი.

[67] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-5 მუხლი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.echr.coe.int/documents/guide_art_5_eng.pdf

[68] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2020 წლის 21 ოქტომბრის №SSG 6 20 00131318 წერილი.

[69] იგულისხმება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ან საოკუპაციო ხაზის კვეთისას დაკავებული პირები, 2018 წლის ანალოგიური მონაცემი 96-ს შეადგენს.

[70] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2021 წლის 4 თებერვლის №SSG42100015800 წერილი.

[71] 2018 წელს, აღნიშნული მონაცემი 28 იყო.

[72] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2021 წლის 4 თებერვლის №SSG42100015800 წერილი.



საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ადამიანებს, უმეტეს შემთხვევაში, ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით აკავებენ და მათ ჯარიმების გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ. ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით, პირთა უკანონო პატიმრობა ძირითადად 2-3 დღე გრძელდება, თუმცა ბოლო წლებში, ორივე ოკუპირებულ რეგიონში გახშირდა უკანონოდ დაკავებულების გრძელვადიან უკანონო პატიმრობაში დარჩენის შემთხვევები.

საოკუპაციო ხაზზე, საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავების 2019-2020 წლების პრაქტიკის შესწავლით იკვეთება, რომ წინა წლებში საოკუპაციო რეჟიმი უფრო ხშირად ე.წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენით და შესაბამისი ჯარიმის დაკისრებით შემოიფარგლებოდა, თუმცა ბოლო პერიოდში დე ფაქტო მთავრობამ პოლიტიკა შეცვალა და სისხლის სამართლის საქმეების წარმოება დაიწყო. ამის ნათელი მაგალითი იყო, 2019 წელს ვაჟა გაფრინდაშვილის მიმართ, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე მუხლით ბრალის წაყენება. ეს საქმე, სახალხო დამცველმა დეტალურად მიმოიხილა, როგორც 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში,[73] ისე საჯარო განცხადებებში.[74] ასევე, 2019 წლის დეკემბრის ბოლოს ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარის მცხოვრებ გენადი ბესტაევს. საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გენადი ბესტაევი 2019 წლის 21 ნოემბერს დააკავეს ე.წ. საზღვრის

[73] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 2019 წელი. გვ. 400.

[74]საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 15 ნოემბრის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე shorturl.at/eoKT4

დარღვევის ბრალდებით.[75] ის ამ დრომდე საოკუპაციო რეჟიმის ტყვეობაშია. მასთან ერთად ტყვეობაში რჩებიან ირაკლი ბებუასა,[76] ზაზა გახელაძე,[77] რამაზ ბეღელური,[78] მირიან თაზიაშვილი[79] და ხვიჩა მღებრიშვილი.[80] ჩამოთვლილ შემთხვევებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა საჯარო განცხადებაც გაავრცელა.[81]

ოკუპირებულ ტერიტორიებზე წლების განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად საოკუპაციო ხაზზე მოქალაქეთა უკანონო დაკავებებთან ერთად, რჩება პატიმართა ცემა, არასათანადო მოპყრობა[82] და წამება დროებით იზოლატორებსა თუ საპყრობილეებში, რაზეც სახალხო დამცველი, წლებია, თავის ყოველწლიურ ანგარიშებში საუბრობს.[83] გარდა ამისა, სახალხო დაცველი სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო საზოგადოებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა უმძიმესი მდგომარეობის შესახებ.[84]

2020 წლის 3 ივლისს, ოკუპირებულ აძვისთან, სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრები ხვიჩა მღებრიშვილი დააკავეს და ცხინვალში გადაიყვანეს.[85] მოგვიანებით, ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ, მას 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მას ბრალად დასდეს ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და „წითელ წიგნში" შეტანილი იშვიათი სახეობის ღამურების მოპოვების მცდელობა.[86] 2020 წლის 25 სექტემბერს, 86-დღიანი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, ხვიჩა მღებრიშვილის მიმართ, ცხინვალის დროებით იზოლატორში ცემის, არასათანადო მოპყრობისა და წამების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა.[87] ხვიჩა მღებრიშვილმა რწმუნებულს უამბო, რომ მას 12 დღის განმავლობაში გაუსაძლის პირობებში უწევდა ყოფნა, უწყვეტ რეჟიმში ცემდნენ. მისი ინფორმაციით, როგორც

---

[75] სოფელ ზარდიაანთკართან დაკავებულ გენადი ბესტაევს პატიმრობა შეუფარდეს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/30299317.html

[76] ირაკლი ბებუას 9 წელი მიუსაჯეს სეპარატისტული დროშის დაწვის გამო. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://bit.ly/37wQ62G

[77]სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://bit.ly/3bm8dt7

[78] დაკავებული რამაზ ბეღელური ცხინვალშია გადაყვანილი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://bit.ly/3aAwQD1

[79] მირიან თაზიაშვილს ცხინვალში 2 თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: https://bit.ly/3aDWzdX

[80] ხვიჩა მღებრიშვილს ცხინვალის სასამართლომ 2-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://bit.ly/3qFFN3w

[81] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 6 თებერვლის განცხადება, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://bit.ly/3aD5vjS

[82] სახალხო დამცველის 2019 წლის 25 ოქტომბრის განცხადება ცხინვალის დმი-ში პატიმრების ცემისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. https://bit.ly/37P3SNj

[83] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ https://bit.ly/374CATW

[84] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 25 ოქტომბრის განცხადება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2W7hYEl

[85] საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაკავებული საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: shorturl.at/ehrAX

[86] ცხინვალის სასამართლოში მიმდინარეობს ხვიჩა მღებრიშვილის საქმის განხილვა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3n8FHzH

[87] ხვიჩა მღებრიშვილის 86-დღიანი პატიმრობა. ცხოვრება ცხინვალის ციხეში. ინფორმაცია, ხელმისაწვდომია რადიო თავისუფლების ვებგვერდზე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/37VoVOk

წინასწარი დაკავების იზოლატორში, ისე ცხინვალის ციხეში გაუსაძლისი პირობებია. პატიმრებს ყოველდღე ცემენ. მასთან ერთად, საკანში იმყოფებოდა ზაზა გახელაძე, რომელიც, საოკუპაციო რეჟიმმა 2020 წლის 11 ივლისს, კასპის მუნიციპალიტეტში, სხვილოს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეხში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა და უკანონოდ დააკავა.[88] ზაზა გახელაძე ამ ეტაპზეც საოკუპაციო რეჟიმის ტყვეობაშია, საქართველოს სახალხო დამცველი მისი დაკავების მომენტიდან ადევნებს თვალს მისი საკითხის განხილვას და იმედოვნებს, რომ დროულად და ჯანმრთელი დაუბრუნდება ოჯახს.[89] ოკუპირებული ცხინვალის ციხის გაუსაძლის პირობებს ადასტურებს საოკუპაციო რეჟიმის მიერ 28 წლის ინალ ჯაბიევის ცემით გარდაცვალების ფაქტიც.[90]

2020 წლის 30 სექტემბერს, ოკუპირებული აფხაზეთის, გალის რაიონში უკანონოდ დააკავეს საქართველოს მოქალაქე ირაკლი ბებუა.[91] გავრცელებული ინფორმაციით,[92] ირაკლი ბებუამ დე ფაქტო რესპუბლიკის დროშა დაწვა, თუმცა, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების სამართალდამცავი ორგანოები მას სხვისი ქონების განზრახ განადგურებას და საბრძოლო მასალის უკანონოდ ფლობასაც ედავებიან. მოგვიანებით, 2020 წლის 7 დეკემბერს, ირაკლი ბებუას ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო სასამართლომ 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.[93] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ირაკლი ბებუას მიერ სავარაუდოდ განხორციელებული ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, მაღალია ალბათობა, რომ დე ფაქტო ხელისუფლებას მის მიმართ ბრალი ხელოვნურად დაემძიმებინა.[94] საოკუპაციო რეჟიმის მიერ, ბებუასთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, ადგილზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის დაშინებასა და მათი გაუსაძლისი პირობების კიდევ უფრო დამძიმებას ისახავს მიზნად.

ჩამოთვლილი ფაქტები, ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეები თავისუფლად გადაადგილების უფლების რეალიზების კუთხით. საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებული მსგავსი უკანონო ქმედებები უხეშად არღვევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაშვების აუცილებლობას.

---

[88]საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, ზაზა გახელაძის უკანონო დაკავებასთან დაკავშირებით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3a4zVeO

[89] სახალხო დამცველის შეხვედრა საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაკავებულის ოჯახთან. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2ID49u4

[90] ცხინვალში გავრცელებული ინფორმაციით, იზოლატორში ახალგაზრდა კაცი ცემით მოკლეს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3qQh5OK

[91] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 1 ოქტომბრის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://ssg.gov.ge/news/633/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsaxuris-gancxadeba

[92] ოკუპირებულ აფხაზეთში დაკავებულ ირაკლი ბებუას საბრძოლო მასალის შენახვას ედავებიან. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2JM98JL

[93] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 8 დეკემბრის განცხადება ირაკლი ბებუასთვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთის უკანონოდ მისჯის თაობაზე: https://bit.ly/341baMP

[94] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 5 ოქტომბრის განცხადება საოკუპაციო რეჟიმის მიერ ირაკლი ბებუას უკანონოდ დაკავებასთან დაკავშირებით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://bit.ly/2M8LsQJ

გაეროს რეზოლუციით დამტკიცებული სახელმწიფო პასუხისმგებლობის პრინციპების თანახმად, დე ფაქტო ხელისუფლებებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დაცვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები. კერძოდ, დე ფაქტო ხელისუფლება, როგორც გარკვეული ტერიტორიისა და მოსახლეობის მაკონტროლებელი არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ვალდებულია პატივი სცეს მისი კონტროლის ქვეშ არსებული მოსახლეობის უფლებებს, მათ შორის, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისას.[95]

საოკუპაციო ხაზზე უკანონო დაკავებებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, განვმარტოთ სახელმწიფოს იურისდიქციისა და პასუხისმგებლობის საკითხი. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს ეფექტიან კონტროლს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და დე ფაქტო რეჟიმს არ აღიარებს საერთაშორისო საზოგადოება, ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვა მნიშვნელოვან გამოწვევად იკვეთება. საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ყველა შესაძლო ღონისძიებას მიმართოს თავისი მოქალაქეების უფლებების დასაცავად, რაც, ქართული სამართალდამცავი ორგანოების მიერ, საოკუპაციო ხაზზე ჩადენილ უკანონო ფაქტებზე მოკვლევის დაწყებაში გამოიხატება.

5. საერთაშორისო სტანდარტები და პასუხისმგებლობა თავისუფალი გადაადგილების უფლებასთან მიმართებით

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, გადაადგილების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებით და მასზე დაწესებული შეზღუდვები პროპორციული უნდა იყოს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული საგამონაკლისო გარემოება შეიძლება იყოს, „სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ მიზნით დაწესებული შეზღუდვები, რომლებიც წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებს შეესაბამება.[96]

რაც შეეხება შეზღუდვების პროპორციულობას, იგი არ უნდა იყოს იმაზე უფრო მეტად მკაცრი, ვიდრე ამ შეზღუდვის მიზნის მისაღწევადაა საჭირო.[97] ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელმა სახელმწიფომ, მოსახლეობის კონტროლის მხოლოდ ისეთი ზომები უნდა გაატაროს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის გამო გახდა საჭირო.[98] დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ, საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებაზე დაწესებული ხელოვნური ბარიერები, ვერცერთი ამ საფუძვლით ვერ აიხსნება. შესაბამისად,

[95] Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, გაეროს გენერალური ასამბლეის 2001 წლის 12 დეკემბრის რეზოლუცია №A/RES/56/83, 28 იანვარი 2002, მუხლი 9.

[96] მე-12 მუხლის მესამე პუნქტი. აღნიშნული საერთაშორისო პაქტის მონაწილეა, ორივე მხარე, როგორც საქართველო, ისე რუსეთი.

[97] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 27-ე ზოგადი კომენტარი გადაადგილების თავისუფლებაზე. https://undocs.org/CCPR/C/21/Rev.1/Add.9.

[98] ჟენევის 1949 წლის კონვენცია IV, 27-ე მუხლი.

ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პრინციპებს.

რაც შეეხება სახელმწიფოების ვალდებულებებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევაზე, ჟენევის 1949 წლის კონვენციით, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ვალდებულება ეკისრება ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში რუსეთი), რომელიც ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები საოკუპაციო ხაზის გადაკვეთისას და უზრუნველყოს მათი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, დაიცვას ისინი წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს ოკუპირებულ რეგიონებზე ეფექტიანი კონტროლი, საერთაშორისო სამართლით მას მაინც ეკისრება ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის პოზიტიური ვალდებულება. ის ფაქტი, რომ ორივე ოკუპირებული რეგიონი, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, აღიარებულია საქართველოს ნაწილად, საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს ვალდებულებას, გამოიყენოს ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალება იქ მცხოვრები ადამიანების კონვენციით გარანტირებული უფლებების და თავისუფლებების დასაცავად.[99]

რაც შეეხება საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებისას უკანონო დაკავებებს, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.[100] კერძოდ, ეს უფლება მოიცავს პირისთვის თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. იმ პირობებში, როცა მოქმედი დე ფაქტო ხელისუფლება არ არის აღიარებული, ვერც მისი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი იქნება კანონიერი და შესაბამისი ევროპულ კონვენციასთან.

მიუხედავად იმისა, რომ დე ფაქტო ხელისუფლება არ ითვლება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და ამ ტერიტორიებს, საერთაშორისო სამართლით, ფართო აღიარება არ აქვთ, და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებების მონაწილე მხარეები არ არიან, მათ აქვთ ვალდებულება, პატივი სცენ საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს ვალდებულება გამომდინარეობს სხვადასხვა გარემოებებიდან: ა) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარებულია, როგორც ჩვეულებითი სამართალი, რაც გულისხმობს ამ ნორმების ნაწილის უნივერსალურ აღიარებას; ბ) დე ფაქტო ხელისუფლება, როგორც გარკვეული ტერიტორიისა და მოსახლეობის მაკონტროლებელი არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი,

[99] საქმეში ილაშკუ და სხვები მოლდოვის და რუსეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვას არ აქვს ეფექტური კონტროლი ტრანსდნისტრიის ტერიტორიაზე, ის ფაქტი, რომ ეს ტერიტორია საერთაშორისო საჯარო სამართლის შესაბამისად, აღიარებულია მოლდოვის ნაწილად, აკისრებს მოლდოვას ვალდებულებას, გამოიყენოს ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალება იქ მცხოვრები ადამიანების უფლებების და დასაცავად“. Ilaşcu case § 333.

[100] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-5 მუხლი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.echr.coe.int/documents/guide_art_5_eng.pdf

ვალდებულია პატივი სცეს მისი კონტროლის ქვეშ არსებული მოსახლეობის უფლებებს, მათ შორის, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის, როგორც უმცირესობების უფლებებს.[101]

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის 21 იანვარს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე - საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II). აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად იმსჯელა ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ძალების განლაგების, დე ფაქტო ხელისუფლებების პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის გამო, რუსეთს ფაქტობრივი კონტროლი აქვს, რის გამოც ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება.
ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 2008 წლის ომთან დაკავშირებით მიღებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც საქართველოსთვის სამართლებრივი და ისტორიული კუთხით უდიდესი მნიშვნელობისაა. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ფაქტი, რომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე კონტროლი რუსეთს აქვს დამყარებული და რომ ეს რეგიონები დღეს ოკუპირებულია. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა არაერთი უფლების, მათ შორის, გადაადგილების და საკუთრების უფლებების დარღვევა.

დასკვნა

ანგარიშში მოყვანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ თავისუფალი გადაადგილების კუთხით, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა.

გადაადგილების/მიმოსვლის თავისუფლება გარანტირებულია არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის მეორე მუხლით.[102]

საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებისთვის, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დადგენილი ფორმალური რეჟიმი და სხვადასხვა ბარიერის დაწესება, როგორიცაა ე.წ. გამშვები პუნქტების არაპროგნოზირებადი ჩაკეტვა, უკანონო დაკავებები, გადაადგილებისათვის აუცილებელ დე ფაქტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვ., ზღუდავს ოკუპირებული რეგიონების მკვიდრთა გადაადგილების თავისუფლებას და გაუმართლებელ დაბრკოლებებს უქმნის მათ საარსებო წყაროებზე წვდომაზე. იმის გათვალისწინებით, რომ დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან ამ შეზღუდვებს არ აქვს ერთჯერადი ხასიათი, მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლებამ, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, ყველა

[101] Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, გაეროს გენერალური ასამბლეის 2001 წლის 12 დეკემბრის რეზოლუცია №A/RES/56/83, 28 იანვარი 2002, მუხლი 9.
[102]Protocol No. 4 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms https://bit.ly/3oHGvwl

შესაძლო მექანიზმი გამოიყენოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებების დასაცავად.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს საშიშროება, რომ მოსახლეობამ დატოვოს ოკუპირებული რეგიონები. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებული ყურადღება მართებს უსაფრთხოების რისკების შეფასებასა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმ ფონზე, როდესაც ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს არ ეძლევათ იქ შესვლის საშუალება. ასევე, მცირეა იმ საერთაშორისო დონორი თუ არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც გააძლიერებდნენ აფხაზურ და ოსურ სამოქალაქო საზოგადოებას. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებებზე.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს ყველა მხარეს, დაიწყონ შინაარსობრივი და შედეგზე ორიენტირებული დიალოგი კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა გააქტიუროს ძალისხმევა, მათ შორის, საოკუპაციო რეჟიმთან მოლაპარაკებების დარწმუნების გზით, კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო წარმომადგენლობების დაშვების უზრუნველსაყოფად. საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმალური მოქნილობა უნდა გამოიჩინოს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და დაცვის მექანიზმების შესაქმნელად.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას

- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაუშვას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების სრული და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.
- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა საოკუპაციო რეჟიმმა სრულად სცეს პატივი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ, დაიცვას მისი ეფექტიანი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების უფლებები, მათი ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.
- საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, აწარმოოს მოლაპარაკებები, რათა საოკუპაციო რეჟიმმა დაიცვას მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება. კერძოდ, დაიცვას ეს უფლება ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მთელ პერიმეტრზე უკანონო შეზღუდვების მოხსნის გზით და ე.წ. გადასასვლელების შეუფერხებელი ფუნქციონირებით.
- საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, გააძლიეროს ზეწოლა საოკუპაციო ძალებზე ენგურის ხიდზე არსებული ე.წ. გამშვები პუნქტის მთლიანი მოსახლეობისათვის გასახსნელად. ასევე, იმსჯელოს 5 დღიანი სავალდებულო კარანტინის ალტერნატიულ ღონისძიებებზე, რაც ოკუპირებული გალის მოსახლეობას გადაადგილებაზე დამატებით ბარიერს შეუმსუბუქებს.
- საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს გარკვეული პროექტები, რომელთა მიზანიც იქნება საოკუპაციო რეჟიმის მიერ, ე.წ. გამშვები პუნქტების არაპროგნოზირებადი ჩაკეტვის შედეგად იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის შემსუბუქება.
- აწარმოოს მოლაპარაკებები, რათა საოკუპაციო რეჟიმმა უზრუნველყოს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისას ან გადაკვეთის შემდგომ უკანონოდ დაკავებული პირების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო შემთხვევებისგან დაცვა.